IDO 2022



# NATIONALE DEUTSCH-OLYMPIADE

Botschaft der Bundesrepublik Deutschland Tiflis

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

Verband der Deutschlehrer in Georgien

GOETHE INSTITUT

Sprache. Kultur. Deutschland.

## Finalrunde Deutscholympiade Georgien

**Liebe Schülerinnen und Schüler,**

herzlichen Glückwunsch: Ihr habt die ersten zwei Runden der Nationalen Deutscholympiade erfolgreich abgeschlossen!

Am 13. März könnt ihr an der Finalrunde im Nationalen Prüfungszentrum teilnehmen.

Hier findet ihr Informationen, die euch bei der Vorbereitung auf die Finalrunde helfen. Außerdem könnt ihr mehr über die Preise erfahren.

Viel Erfolg!

Euer Olympiade-Team

## ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲘ

**ძვირფასო მოსწავლეებო,**

გილოცავთ გერმანული ენის ეროვნულ ოლიმპიადაში მეორე ტურის წარმატებით დასრულებას.

13 მარტს გეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოთ ოლიმპიადის ფინალურ ტურში, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩატარდება.

ამ ბროშურაში შეგიძლიათ გაეცნოთ დაწვრილებით ინფორმაციას ფინალური ტურის მიმდინარეობისა და დაწესებული პრიზების შესახებ.

გისურვებთ წარმატებას!

## NATIONALE DEUTSCHOLYMPIADE
### 13. März 2022, das Nationale Prüfungszentrum

Das Bildungsministerium Georgien, das Nationale Prüfungszentrum und das Goethe-Institut Georgien veranstalten am 13.03.2022 die Endrunde der nationalen Deutscholympiade. Die Endrunde ist eine schriftliche Prüfung auf dem Niveau B2 nach dem Gemeinsamen Europäischen Referenzrahmen für Sprachen des Europarats (GER).

Der schriftliche Test besteht aus Hör- und Leseverstehen. Die Prüfung dauert 60 Minuten. Die Tests werden direkt nach der Prüfung korrigiert und die Ergebnisse werden unmittelbar danach bekanntgegeben.

Einsicht in die schriftliche Prüfung kann nur am Tag der Prüfung unmittelbar nach der Bekanntgabe der Ergebnisse (bis 13:00 Uhr) genommen werden. Spätere Beschwerden können nicht berücksichtigt werden.

### PREISE

- Alle Schüler*innen bekommen eine Teilnahmebescheinigung.
- Die besten Schüler*innen können an der nationalen Endrunde der Internationalen Deutscholympiade teilnehmen.

**Internationale Deutscholympiade**
Das Goethe-Institut bietet den Schüler*innen an, an der nationalen Endrunde zur Internationalen Deutscholympiade teilzunehmen. Die Endrunde ist eine mündliche Prüfung und findet unmittelbar nach der Auswertung des schriftlichen Tests der nationalen Endrunde am 13.03.2022 statt.

### TEILNAHMEBEDINGUNGEN

An der mündlichen Prüfung können die Schüler*innen teilnehmen,
- die in der 10. oder 11. Klasse sind.
- die im schriftlichen Test der Endrunde die höchsten Punktzahlen bekommen.
- die zwischen 06.08.2004 - 24.07.2008 geboren sind.
- deren Mutter- oder Kommunikationssprache nicht Deutsch ist, bzw. die keinen deutschsprachigen Elternteil haben.
- die nach dem dritten Lebensjahr nicht länger als sechs Monate durchgehend in deutschsprachigen Ländern gelebt haben.
- die nicht an deutschen Auslands- und Privatschulen lernen, an denen Unterrichts- und Kommunikationssprache vorwiegend Deutsch ist.
- die für 2022 kein Sprachstipendium für Deutschland haben.
- die am 25.07.-05.08.2022 nach Deutschland reisen können und wollen.
- die das Einverständnis ihrer Eltern mitbringen (notwendig nur für Schüler*innen, die noch nicht 16 Jahre alt sind).

Die Teilnehmer*innen bekommen vor der Prüfung einen Fragenbogen, der die Fragen zu den o.g. Teilnahmekriterien enthält. Falsche Angaben führen zur Disqualifikation bzw. zur Aberkennung von Siegerplätzen.





## გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადა
### 13 მარტი, 2022, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და გოეთეს ინსტიტუტი 2022 წლის 13 მარტს გერმანული ენის ეროვნული ოლიმპიადის ფინალურ ტურს გამართავენ. საფინალო ეტაპზე მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ გამოცდაში, რომელიც ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეს შეესაბამება.

წერილობითი გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:
1. მოსმენა; 2. კითხვა;
გამოცდა გრძელდება 70 წუთი. ნამუშევრების გასწორება  და შედეგების გამოქვეყნება მოხდება ადგილზე, უშუალოდ გამოცდის შემდეგ.
აპელაცია შესაძლებელია მხოლოდ გამოცდის დღეს შედეგების გამოქვეყნებიდან 13:00 საათამდე. დაგვიანებული საჩივრები არ განიხილება.

### პრიზები

- ყველა მონაწილეს გადაეცემა ოლიამპიადაში მონაწილეობის სერტიფიკატი.
- საუკეთესო მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ოლიმპიადის შესარჩევ ტურში.

**გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადა**
**გოეთეს ინსტიტუტი მოსწავლეებს სთავაზობს გერმანული ენის 2022 წლის საერთაშორისო ოლიმპიადიის შესარჩევ ტურში მონაწილეობას. შესარჩევი ტური წარმოადგენს ზეპირ გამოცდას და გაიმართება წერილობითი გამოცდისა და აპელაციის პროცედურის დასრულების შემდეგ 13 მარტს.**

### მონაწილეობის პირობები

**ზეპირ გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა მხოლოდ 21 მოსწავლეს:**
- რომლებიც არიან მე-10 ან მე-11 კლასში
- რომლებიც წერილობით ტესტში მაქსიმალურ ქულებს დააგროვებენ
- რომლებიც დაბადებული არიან 06.08.2004 - 24.07.2008 პერიოდში
- რომელთა მშობლიური ენაც არ არის გერმანული, ან ერთ-ერთი მშობელი არ არის გერმანულენოვანი
- რომლებსაც სამი წლის ასაკის შემდეგ არ უცხოვრიათ გერმანულენოვან ქვეყნებში 6 თვეზე მეტი ხნით
- რომლებიც არ სწავლობენ გერმანულ საერთაშორისო და კერძო სკოლებში, სადაც გაკვეთილის და კომუნიკაციის ენა გერმანულია
- რომლებიც 2022 წელს სხვა სტიპენდიით არ მიემგზავრებიან გერმანიაში
- რომლებიც თანახმა არიან/შეუძლიათ 25.07.-05.08.2022 გერმანიაში გამგზავრება
- რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში შეძლებენ წარმოადგინონ მშობლების მიერ ხელმოწერილი თანხმობა იმის შესახებ, რომ გერმანიაში გამგზავრების უფლება ექნებათ. (ეს პირობა ეხებათ მხოლოდ 16 წლამდე ასაკის მოსწავლეებს)

მოსწავლეები გამოცდის დაწყებამდე შეავსებენ ანკეტას და ხელს მოაწერენ მონაწილეობის პირობებს. არასწორი ინფორმაციის მითითება გამოიწვევს მოსწავლის დისკვალიფიკაციას.

## MÜNDLICHE PRÜFUNG

Der mündliche Prüfungsteil besteht aus einer Aufgabe, die in Dreiergruppen bearbeitet und präsentiert wird. Die Gruppen werden heterogen zusammengesetzt sein, also unterschiedlich nach Geschlecht und Schulzugehörigkeit.

- Jede Gruppe hat eine Vorbereitungszeit von 60 Minuten.
- Jede Gruppenpräsentation soll nicht länger als 10 Minuten dauern.
- Alle Gruppenmitglieder müssen dabei zu Wort kommen.
- Tipps für die Präsentation:
    - Sprecht möglichst frei.
    - Achtet darauf, dass jedes Gruppenmitglied etwa gleich viel sagt.
    - Ihr könnt Bilder, Plakate oder Zeichnungen benutzen.
- Die Gruppenpräsentationen finden in Gegenwart der Jury statt.
- Die Jury besteht aus Vertretern des Nationalen Prüfungszentrums, des Bildungsministeriums, des Goethe-Instituts, des Deutschlehrerverbandes und anderer Institutionen.

## KRITERIEN FÜR DIE BEWERTUNG DER MÜNDLICHEN PRÄSENTATION

- Aufgabenbewältigung: Inhalt, Kreativität, Zusammenspiel.
- Sprachbeherrschung: Wortschatz, formale Richtigkeit, Aussprache.

## PREISE

1. Die zwei Schüler*innen mit den höchsten Punktzahlen aus der schriftlichen und der mündlichen Prüfung bekommen ein Stipendium zur Teilnahme an der Internationalen Deutscholympiade, die vom 25.07.-05.08.2022 in Hamburg, Deutschland stattfindet.
2. Für den dritten Platz bekommt man einen kostenlosen Sprachkurs am Goethe-Institut Georgien.

**Die Teilnahme am Finale in Hamburg ist nur möglich, wenn die Sieger*innen vom 13. März sich bis Ende April 2022 vollständig mit einem in der EU zugelassenen Impfstoff impfen lassen.**



## ზეპირი გამოცდა

ზეპირ გამოცდაზე მონაწილეები სამკაციან ჯგუფებში მიიღებენ თემას დავალებისთვის, რომლის საფუძველზეც მათ უნდა მოამზადონ ჯგუფური პრეზენტაცია. ჯგუფები დაკომპლექტდება ჰეტეროგენულად.

- ჯგუფებს პრეზენტაციის მოსამზადებლად აქვთ 60 წუთი.
- თითოეულ პრეზენტაციას დაეთმობა 10 წუთი.
- ჯგუფის სამივე მონაწილე ვალდებულია ჩაერთოს პრეზენტაციაში.
- რჩევები:
    - ისაუბრეთ თავისუფლად!
    - მიეცით ჯგუფის სხვა წევრებს საშუალება, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პრეზენტაციაში!
    - შეგიძლიათ გამოიყენოთ პრეზენტაციის ვიზუალური საშუალებები!
- პრეზენტაციებს ესწრებიან ჟიურის წევრები.
- ჟიურის წევრები: საქართველოს განათლების სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, გოეთეს ინსტიტუტის, გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციისა და სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები.

## ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

- დავალების შესრულება: შინაარსი, შემოქმედებითობა, ჯგუფური მუშაობა
- ენობრივი უნარები: ლექსიკა, ტექსტის მოცულობა, გამოთქმა, გრამატიკა

## პრიზი

1. ორი გამარჯვებული მოსწავლე, რომელიც წერილობით და ზეპირ გამოცდაში ჯამში უმაღლეს ქულებს დააგროვებს, მიიღებს სტიპენდიას საერთაშორისო ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად, რომელიც ტარდება 25.07.-05.08.2022 ჰამბურგში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
2. მე-3 ადგილზე გასულ მოსწავლეს გადაეცემა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის უფასო ენის კურსი

**13 მარტს ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ 2 მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება ჰამბურგში გერმანული ენის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად ვაქცინირებული იქნება ევროპაში აღიარებული ვაქცინით.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

## ABLAUF DER OLYMPIADE
**Ort: Das Nationale Prüfungszentrum**

## ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ
**ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ**

| | | |
|---|---|---|
| **08:30** | Registrierung der Schüler*innen | მოსწავლეთა რეგისტრაცია |
| **09:00 – 10:10** | Schriftlicher Test | წერილობითი გამოცდა |
| **10:10 – 11:10** | Korrektur der schriftlichen Tests | ტესტების გასწორება |
| **11:20** | Bekanntgabe der Ergebnisse | შედეგების გამოქვეყნება |
| **11:20 – 13:00** | Beschwerdeverfahren | აპელაცია |
| **13:30 – 14:30** | Vorbereitung auf die mündliche Präsentation | ჯგუფების დანაწილება და ზეპირი გამოცდისთვის მომზადება |
| **14:45 – 16:15** | Präsentationen in Dreiergruppen | ჯგუფური პრეზენტაციები |
| **16:15 – 17:00** | Pause; gleichzeitig: Auswertung | შესვენება / შედეგების შეჯამება |
| **17:00 Uhr** | Siegerehrung | გამარჯვებულთა დაჯილდოვება |

**! დაგვიანებული მოსწავლეები ტესტირებაზე არ დაიშვებიან.**
**Verspätete Schülerinnen und Schüler werden nicht zugelassen.**

# HAMBURG
## 25.07 - 05.08.2022



IDO 2022

## დამატებითი ინფორმაცია

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი
თბილისი 0186, მინდელის ქუჩა 9
ტელეფონი: 247 33 33

E-Mail: info@naec.ge

გოეთეს ინსტიტუტი
ზანდუკელის ქ. 16
თბილისი 0108
ტელ.: 293 89 45

E-Mail: ana.mshvildadze@goethe.de